

# ပုဂ္ဂနတ်အောင် ခေါ်စာတော် ဇန်နဝါရီ

၁၁၂၃၂၂၅၈ ရေးဆွဲလုပ်ကုန်မြောက်

K 6182  
2/

။

များလျော့ ဖို့ရှုံးလျော့ ဒေသမြို့မြို့

လျော့လျော့လျော့လျော့ မြတ်လျော့လျော့ ပို့စာမျိုး

ဦ. ဒါနိုင်နာစိုး

ပုဂ္ဂနတ်

၁၉၆၉၊ စုံအောင် မြတ်လျော့လျော့လျော့

တွေ့လျော့

, ပြည့်မြော ဦ. ရုပ်ရုပ်ရုပ်ရုပ်, ဒေသမြို့မြို့ ၃၄. ၃၉  
၁၉၁၇

9(47. 922)

# ქართველ გევეთ ღრუის

ქართველ რესპუბლიკანელეგი

და

მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის

სუსპენდიციურ მთავრობის წინაშე

ზ. ჭიჭინაძეს.

K 6/82  
2

გამოცემული

ვანლაგ თბეზელაზვილის გიგან



თბილისი.

სტამბა ტ. როტინიანცისა, გოლოვინ. ვა. 39.

1917

# ქართველ მეფეთა დროის ქართველთ რესტუბლიგანელები

## I.

ჩვენში მოიპოვებიან ისეთ გმირნი, რომელნიც ამბობენ, რომ **XIX** საუკუნის დამლევამდე, ქართველებს ეითომეც სრულიად არაფრის წარმოდგენა არა ჰქონიათ, რომ ქართველებს ამ დრომ-დე არც სრამბა ჰქონიათ, არც თეატრი; არც ეურნალ-გაზეთობა, არც წიგნი და არც ბეერი სხვა ასეთი.

როცა იაკობ გოგებაშვილმა დაბეჭდა თავისი წერილი: „რანი ეყავათ გუშინ“ და აღნიშნა, რომ ქართველები იცნობ-დენ რესტულიკანურ წესწყობილებასაო, ზოგიერთებმა იყ, გოგებაშვილის გამოკვლევას ეჭვის თეალით შეხედეს და გაზ-ვიაღებულად ჩასთეალეს. ქართველები რომ რესპუბლიკურ მა-რთვა გამდეობას ჯერ ისევ **XIX** საუკუნემდე იცნობდენ, ამას ამტკიცებს შემდეგი.

ევროპის ქალაქებში სწავლის მისაღებათ ქართველთა შეი-ლებმა ჯერ ისევ **XVII** საუკუნეში იწყეს წასელა, სწავლობ-დენ რომს, ნეაპოლს, პარიზს, ლონდონს, ბერლინს, ლიონს, ტრიესტს, ვენას, ვენეციაში და სხვაგანაც.

1620 წ. რომ ის პაპის კოლეგიაში დაარსებულ იქმნა ქარ-თული ენის კათედრა: 1627 წ. იქვე დაარსებულ იქმნა ქარ-თული სტუდია და დაიბეჭდა ქართული წიგნები. პატრიებს სა-ქართველოში ბეერი რამ ცოდნა შემოჰქონდათ, მაგალითებრ: მყურნალობა, სხვადასხვა სწავლა-მეცნიერება, ეკროპიულის ენე-ბის შესწავლა, ეკროპის ერთა ისტორია და სხვა, რაც ცხადად ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ქართველებმა ეკროპის ერთა ჯე-კარგიანობა წინათევ იცოდენ და არა **XIX** საუკუნის შემ-

დღვ ელიონსენ ამას ისე, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

XVIII საუკუნის შემდეგ, საქართველო საფრანგეთს ისე უახლოედება, რომ 1714 წ. საქართველოდამ საფრანგეთში ლი-ულოვეკ მეთოხხმეტესთან თავისუფლათ გაემგზაერა საბა ორ-ბეჭანი. ამის შემდეგ თუმცა არა ხშირათ, მაგრამ ქართველები შეინც მიდიოდნენ ხოლმე პარიზს და სწავლობდენ ფრანგუ-ზების ცხოვრებას. ქართველნი ფრანგებს ისე დაუახლოედენ, რომ ზოგიერთებშა ეოლოცერის ნაწერების კითხვაც დაიწყეს და თვით საქართველოს ტახტის მემკვიდრე, დაეით ბატონის შეილიც ეოლო-ცხოვრინელი იყო. პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძეც 1790 წ. პე-ტერბურგში ცხოვრებდა, ერთ პანიონში სწავლობდა, ამ გვაჩად, ქართველებისათვის არც საფრანგეთის ჩევოლოუცია იყო უც-ნობი და ქართველებმა იცოდენ მისი წარმოშობის მიზეზებიც. ამას გარდა იცოდნენ საფრანგეთის ერის რესპუბლიკური მართ-ვა-გამგეობის წესები, და ამასთან ზოგი ქართველი ამისი დი-ლი პატივის მცემელიც იყო.

ისტორიით ვიცით, რომ შეფე ერეკლე, ტახტის მემკვიდ-რეთ, თავის მეორე შეილს ლევანს ამზადებდა. ლევანი თურმე გონიერი კაცი იყო, მასთან მამის დიდი მორჩილი, ეს იყო მე-ორე შეილი. ამ ლევანმა საქართველოში შემოილო მორიგი ჯარის წესი, რე ეეროპიულად იყო განათლებული, მას ასწავ-ლილნენ კათოლიკის მისინერები. იცოდა ფრანგულ ენაც.

გიორგი შეფე ამაზედ შური ჩაიდო გულში და ბოლოს ის მოახერხა, რომ მან ლევანი მოაწამელინა. ამის სიკედილის დროს, შეფე ერეკლეს უთქვამს შემდეგი; — „ახლა კი დაიღუპა ჩემი ოჯახი და საქართველოს საქმეცაო“.

შეფე ერეკლე ლევანის სიკედილმა დიდათ დააღონა. ამის შესაც თავის შეილებში იულონს ხედაედა, იულონი მართლაც ჰგავდა ლევანს, ხოლო ეს იყო უკანასკნელი შეილი მეფე ერეკ-ლესი, ამიტომ ამის გამეფება შეუძლებელი იყო. ერეკლეს შემ-დეგ ტახტი გიორგის ეკუთხნდა.

როგორც სჩანს, შეფე ერეკლეს გიორგი შეფე არც კი უ-

გარდა, ხოლო პატივს კი სკემდა მის გამო, რომ იგი იყო პი-  
რმშო, ცახტის მემკვიდრე, ერეკლეს ასეთი შეხედულება, გიორ-  
გი მეფემაც კარგად იცოდა, ამიტომაც მოხდა ის უბედურე-  
ბა, რომ 1795 წელს, მამათხანის ომის დროს, გიორგი მეფემ  
თავის მამა, მეფე ერეკლეს, ულალატა, იმ დროს, როცა ქა-  
თევლობა მცენრთან ომობდა, მეფე გიორგი კი მალოჩს ცუქში,  
მეჯლისებს მართავდა და მამის ჯავრის პურილობდა!

მეფე ერეკლემ შვილის ასეთი ექრაგობა კარგათ შეიტყო;  
ისურეა ჯავრის ამოყრა, ამიტომ მან დასტოა მეორე ანდერ-  
ძიუ, რომლის ძალითაც გიორგის შემდევ სამეფო ცახტი იუ-  
ლონს უნდა მოელო და არა გიორგის შეიღოს.

ამ საქმეებს დარეჯან დედოფალიც მფარეველობდა. რადგა-  
ნაც იულონი ამის ნაშობი იყო და ამასაც სურდა ესეთი ბელ-  
ნიერება, მაინც ეს დედოფალი გიორგიზეც ბევრათ მალლა  
სდგას და ეინც ამას გაჰკიცხავს, იგისც ცოდავს ისტორიის წინაშე.

მეფე ერეკლემ მეორე ანდერძი თუმცა საიდუმლოთ დას-  
ტოა, ხოლო მაინც ცნობილ იქმნა მრავალთაგან. ამ გარემოებამ  
იმ დროის ქართელთ წარჩინებულნი გაჰკო რამოდენსამე ნაწი-  
ლათ, ბოლოს მისგან დაიბადა დიდი ანარქია.

გიორგი მეფის მომხრენი უკავიოფილონი იყვნე ამ მეორე  
ანდერძიდა.

მალულათ იბრძოდა მეფე გიორგის პარტია, მალულათ  
იბრძოდა იულონის პარტიაც, დარეჯან დედოფალსაც ჰყეანდა  
თავის მოშენები და ესენიც იულონს უკერდნენ მხარს. იყვნენ  
კიდევ სხეადასხეა ბატონიშვილების მომხრენიც.

იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ემხრობოდენ დაეით მატონი-  
შეიღოს, გიორგის ძეს და ესენი ითხოვდენ, რომ გიორგის მა-  
გიერ მისი ძე დავითი უნდა გამეფდეს. იყვნენ ისეთნიც, რო-  
მელნიც ალექსანდრე ბატონის შეიღოს ითხოვდენ მეფეთ, ზოგ-  
ნი კიდევ ივანეს და ზოგიც სხევბს.

ამ დროს, თფილისში სცხოვრობდა ჩუსეთის გენერალი  
ლაზარევი, რომელიც უველა ამ საქმებს უურადღებოს აქცევდა,

ეს კიდევ ითხოვდა სხვა გვარ მოვალეობას. 1798 წლის შემდეგ, რა კი მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ამიტომ გიორგი მეფე 1782 წ. ხელშეკრულობის დაცვას ითხოვდა.

მეფე ერეკლეს სიკედილის შემდეგ, რაც დრო გადომდა, მით სამეფო საქმის მართვა-გამგეობა საშინელ სახეს იღებდა. ამ საშინელებამ, გიორგი მეფის ავათმყოფობის დროს, უფრო მკარი ხასიათი ზიოლო, გიორგის გარდაცვალების შემდეგ კი მეტის მეტი საშინელი და წარმოუდგენი ანარქია გაშეფდა.

საქართველოს საქმე აირია სასტიკათ, ამ არეას მეტათ ცუდი შედეგი მოსდევდა. ამ მომავალს ბეჭრი დამკერებლებიც ჰიც ჰყავნდენ და მარტივალეთ უურადლების შიმპურობნიც.

ამ დროს, იყო სოლომონ ლეონიძე, თავის დროის კუალად კაცი გონიერი, ამასაც ჰყავდენ მომხრენი, რომელნიც იშიარებდენ ამ წმინდათ სახსენებელი კაცის აზრებს და ესენიც ითხოვდენ იმას, რასაც ეს ბრძენი კაცი ითხოვდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ დროს, ანარქიას, ანუ აღრევას ისე გაედგა ფესვი, რომ გონიერ პირთა დარიგებას უურადლებას არავინ აქცევდა, უეელა თავისკენ იწევდა, ანუ თავის მომხრის გასამეცებლათ და ამას რა შემდეგი მოჰყევებოდა ამაზე კი არავან ფიქრობდა.

ქვეყნის უბედურებამ საშინელს წერტილს მთაღწია. საქმე ისე აწერს, რომ ამ დროს, საქართველოს მეფობა აღმარც კი სუფევდა და უეელას ლაპარეეისა ეშინოდა. თეოთ დავით ბატონიშვილიც, რომელიც რუსეთის გენერალ, ლეიიტენატი იყო და ტახტის მემკეიდრე, ვერ ბედავდა გამეფებას, ამას ერთის მხრით იულონის მომხრეების ეშინოდა და მეორეს მხრით სხევების, ეს ელადა ისევ რუსეთის ნება რთვით და ძალით გამეფებას და მაშინ მას ეელარავინ ეერას დაკლებდა.

ასეთ ლოდინში აყო დავით ბატონიშვილი, სოლომონ ლეონიძე აწუხებდა დავითს და აეედრებდა დროით გამეფებას, მაგრამ დავითი ეერა ბედავდა. აი, ამ დროს, სოლომონ ლეონიძის მომხრეთა შორის გამოჩნდენ ზოგიერთი ისეთი პირნიც, რომელნიც ქართველთა მეფობას აღარ ითხოვდენ და ამის ნა-

კულათ რესპუბლიკური წესების დარღვებას ღალადებდენ.

ასეთი პირნი იყვნენ მრავლათ, ესენი მართავდენ კრებებს და აქ მსჯელობდენ ქვეყნის საქმეზედ და ქართველთა მომავალს ცხოვრებაშე.

ამათ კარგათ ესმოდათ თავის ქვეყნის მდგომარეობა და ამიტომაც ხმარობდენ ყოველ ნაირ სახსარს და ოონეს, რომათ ერთს ცხოვრებას არ წარჩოცოდა თავის სახე.

როგორც ვიცით სხვა და სხვა ისტორიულის და ზეპირი ცნობებით, ასეთ პირთა რიცხვი ერთობ დიდი იყო. მათ რიცხვშია სოლომონ ლეონიძეც, როგორც თანაგრძნობელი, ამი მომხრეთა რიცხვიც თურმე ერთობ დიდი იყო, ასეთ პირთა თათბირი იყო ფონიფრული და მრავალ ნაირი, მაგალითებ, ესენ ნი ამბობდენ:

ქართველ ბატონიშვილებს თითქოს აღარ სურთ მეფობა, რაკი მათ აღარ უნდათ ქვეყნის პატრონობა, მიბრძანდეთ იქით, საკა სურთ და ჩეენ მოუვლით ქვეყანას, განვაგებთ სამეფო საქმეებს, ფრანცუზები ჩეენზედ უკეთესნი არიან და ნასწავლანი, შავრამ ძრიელ ხშირად ისინიც განავებენ უმეფოთ, რესპულიკით.

ჩეენც ვისამთ ამას, გავაკეთებთ რესპუბლიკას და ეიქნებით უმეფოთ, იმედია. რომ ჩეენს თავს და ჩეენს ქვეყნის საქმეებს კარგად ჩეენც გაუძლებით, რაკი ჩეენს ბატონის შეილებს აღარ სურთ მეფობა, რაკი ისინი ასე იქსაქსებიან, ამიტომ ჩეენ უნდა და მოუაროთ ჩეენს ქვეყანასათ.

საქართველოს რესპუბლიკის მომხრენი, სხვათა შორის იყენენ შემდეგნი, პირნა:

სოლომონ ლეონიძე, კაცი გონიერი.

დუკალ ბარათა შეილი ცნობილი პირი.

როსტომ ბეგთაბეგის შეილი, თავის დროის გონიერი ჭაპი.

ელიზბარ თუმანი შეილი, კაცი ცნობილი.

პატრი ნიკოლა. იყო მჩხვევლი და მთხოვნელი მლეიძრად ყოფნის. ამანაც აუწყა თურმე ერთ კრებაზედ ქართველთ ასე:

„ბატონებო, რაკი ბატონიშვილები ასე არჩევენ ქვეყნის საქმე, მეტი რა გზა არის, თქვენ ნუღარ აყოვნებთ ან დაეითი გააძვეჭეთ. ნ იულონი, ან არა და ქმენით ოქსპუბლიკური მთავრობა და ძალაზე ქვეყნის საქეებს და ასე ნუ სტოვებთ, თორ რემ საქმე უფრო აიხევა და ბოლოს ყველაფერი დაილუპება, პატრი ნიკოლამ ესეც დაუმატებია მეორე კრების დროს:

„ბატონებო, მე ვარ რომის ტახტის ერთგული და წმიდა პაპის მმოსავი, შეუძლებელია, რომ კათოლიკის მისიონერი რესპუბლიკის მომხრე ვიყო, მაგრამ რაკი ქართველთ ცხოვრება ასე წახდა, ამიტომ სხეის ხელში გადასვლას და საქმის დალუპებას, მე თქვენთვის რესპუბლიკა მიჩიევნია და დროით დააბოლოვეთ ეს საქმე და საქართველოს გაუჩინეთ თავისი პატრონი მმართველი და მფარველიო“.

ასე და ამ გვარად, პატრის სუტვილის თანახმად სოლომონ ლეონიძემ დავით ბატონისშვერსაც უჩიჩია მალე გამეფება და საქმის არ დაყოვნება, მაგრამ დავითმა შაინც ვერ გამედა. სხვათა შორის დავითს ასეთი სიტყვა შოახსენა ალექსანდრე მაყაშვილმა.

„ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰყარგავ მეფობის, დაუკუკათ მეფობა და განვამტიკიცოთ. მიბრძანეთ და გიმოუცხდებ რუსის ჯარსა წარვიდეს რუსეთად, და თუ არა იქმს რუსის გენერალი, ადვილია აქედამ განლევნა. დაუკუკათ მეფობა და განვამტკუცოთ მეფობით სახელი ჩეენი.

დავითს ძრიელ შეეინდა ასეთი სიტყვის, ვან ეს ამჟავი გენერალ ლაზარევს აუწყა. ამან—მინისტრ კოვალენსკის, მერე ამაზედ შეკითხვა მისცეს აღ. მაყაშვილს.

რესპუბლიკის დაარსების ამბავში თხხსავ კუთხივ მოიცვა ხალხი და მასზედ ბეჭრს ალაგის ლაპარაკობდენ. ამ გარემოებამ დავითი შეაფიქრიანა და ამან ერთ ყრილობას ასეთი წინარიდებით მიმართა: „ამ შამათ ზოგიერთნი: როსტომ ბეგთაბეგიშვი—

ლი, ელიზბარ თუმანიშვილი და ლუკალ ბარათაშვილი შევის-  
ტით და ჩესპუბლიკის თავათ გავრცელებით, აბა სად მივი-  
დეთ, ეს თქვენს კეთილშობილებისთვის დიდაზ აუგია და სა-  
თავილო“.

სოლომონ ლეონიძე ეხლა-დავით ბატონიშვილს და ჭა-  
რიგება მოახსენა, მაგრამ დავითისაგან ასეთი უარი მიიღო: „თუმცა ქართველებს მეფე გეორგი, მაგრამ ხან ბერძნების  
ხელში ცყოფილებართ, ხან ოსმალთა და ხან სპარსთა. ახლა მე-  
ფე თეიმურაზმა და მეფე ერეკლემ და მეფე გიორგიმ ეს ქვე-  
ყანა რუსეთის ხელმწიფეს მისცა, ნუ აჩქარებულხართ, როცა-  
იმპერატორის ნება და ბრძანება მოვა, თქვენც იმაზედ დადე-  
ქით. ჩესპუბლიკის მეთაურნი და მომხრენი ამაზე გაბრაზდენ-  
და დავითი განკიცხეს.“

დავითს ეხლა სოლომონ ლეონიძე და ესაუბრა პირუთვ-  
ნელად, მაგრამ მაინც ეკრას გახდა, ამ საუბრის გამო 3. ოსე-  
ლიანი „მეფე გიორგის ცხოვრება“. ში ასე იხსენიებს სოლ, ლე-  
ონიქეს: „ეუწოდებ მას, პატიოსნებასა გამო მალლისა დროთა  
მათ ფაბრიციოდ ქართველთა, და კითარცა მტკიცე და შეურ-  
ყველი. იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიის კა-  
ტონად.“

არის ცნობა, რომ სოლ. ლეონიძეზედ, უფრო ძლიერი  
წრე დუკალ ბარათაშვილს შეუდგენია, ეს ასე მძლავრას ცდი-  
ლობდა, რომ მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით ან დაერთი გა-  
მეფებულებულ და ან რულონი. თუ ენესი არა, მაშინ „ჩესპუ-  
ბლიკა გავაკეთოთო“.

ჩესპუბლიკური წყობილების შესახებ სხვაც ბევრი წერი-  
ლი ამბებიც არი დაჩხენილი, მაგრამ ფაქტის აღსანიშნავად  
ჩენ ესეც ვიკმარეთ. ვინაიდამ აქციანაც, ნათლად სჩანს, რომ  
ქართველებმა ჩესპულიკური წყსები რუსეთის იმპერიასთან და-  
კავშირებამდე იცოდნენ.

ქართველებმა თგით საფრანგეთის რევოლუციის ამბებიც

კარგად იცოდნენ. ჩევოლიუციას მაშინ ქართველი ხალხის აღ-  
რევას უწოდებდნ.

მეფე ერეკლეს და გიორგისაც ახლდენ ქათოლიკის პატ-  
რიები და დაწერილებით მოუთხრობდენ მეფეებს საურანგეთის  
ჩევოლიუციის ამბებს, ჩესპუბლიკურ მთავრობის დარსებას და  
შის კანონებს.

ნაპოლეონ იმპერიატორის გამეფების შესახებ, ერთხელ მე-  
ფე გიორგიმ პატრის ნიკოლას კითხვები მისცა, პატრიმაც მოახსენ-  
ნა ბევრი რამ, რადგანაც ეს საუბარი საყურადღებოა, ამიტომ  
ამასაც იოსელინის სიტყვით მთლაც მოვიყანთ, რაც ცხად  
ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ქართველი საფრანგეთის ჩევო-  
ლიუციის ამბებს და ჩესპუბლიკურ გამგებას ადრევე იცნობ-  
დენ და არა XIX საუკუნის შემდეგ, როგორც ეს ზოგიერთებს  
ჰგონიათ.

მეფე გიორგის შეილი დავითი რუსეთში გაიზარდა, იქვე  
მიიღო სწავლა, იყო რუსის გენერალ ლეიტენანტი, იცოდა  
ფრანგული ენა და იყო ერთობერის სწავლის მიმდევარი, რუსუ-  
თიდან საქართველოში რომ დაბუნდა, თან წამოიღო ვოლტე-  
რის სურათი და კედელს ჩამოკიდა. ამასთან დავითი იყო ეკა-  
ლესიურ წესებზე გულ აცრუებული იყო. ამაზე მეფე გიორგი  
დიდად სწუხდა და დარდობდა. სწუხდა შეილის ურწმუნოება-  
ზე. ურწმუნოების გამო მეფე გაკეირვებული იყო და ეერ წარ-  
მოდგინა ამის გარემოება თუ საფრანგეთში რამ გამოიწვია ეს  
პირობები.

ერთხელ მეფეს პატრი ნიკოლა ეაბლა, მეფემ ურწმუნოე-  
ბის გარემოება ველარ მოითმინა და პატრ ნიკოლას საუბარი  
გაუმართა:

პატრი ნიკოლა! სად არის ახლა დიდი სარდალი ბონა-  
პარტე.

პატრი, ეპრეძეის რუსთა და კეისართა, ესენი სულილობდენ  
დაცუან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არლა მუნ, აგერ მრავ-  
ლი წელიწადია არც წირეა, არც ლოცვა, არც ქორწინება,

არც მლდელი და ეპისკოპოსი; 25 მილიონი წარმართათ არიან  
გადაქცეულნი.

მეფე გიორგი, ვინ ქმნა ესე?

პატრი ნიკოლა. უკეთურთა მწერალთა ეოლტერშან და  
სხვათა.

მეფე ვიორგი. ეოლტერი! მეგობარი ჩემის შეილის დაცი-  
თისა. ჩემი მემკვიდრისა, ვაი შენს გიორგის, რუსეთში მყოფ-  
მან ჩემმა შეიღომა შეისწავლა მისი უსჯულო სწავლა, მოიტა-  
ნა აქ მისი სახე, რომელიც სამართლათ დავწეი ცეცხლსა,  
ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარსაც, თეთო მაცხოვარი  
შეეწევა შათ, ქრისტეს გარეთ ჩაღაა კაცი? უკეთესა ვინ გვას-  
წავებს, მეორე არიოსი ყოფილა ის შეჩენებული.

პატრი. ღვთით პაპისა ლოცვეით მტერი ვერ გაიმარჯვებს.

მეფე. ეკლესიასა ქრისტესა ჩემო, პატრი! ვერა სძლეეს  
ბჲე ჯოჯოხეთისა,

პატრი. მრავალი უნახაესთ დევნა ქრისტიანეთა.

მეფე. დიოკლიტიანემან, ნერონმან და ივლიანემ და სხვა-  
თა ვერა ჰსძლიეს ქრისტესსა, რასა იქმს ეოლტერი სიტყვები-  
თა! თეთო ბონაპარტე ჩატრო?

პატრი. დიდათ მორწმუნე კათოლიკეა, აღზრდილი ფრან-  
გისტანში, კორსაკანელითუ იქნება, ჰუიქრობს აღადგინოს ტრა-  
ქეზი ქრისტესი. პატივს სტეფან რომის პაპსა წმიდასა.

მეფე. ღმერთმა წარუმართოს და დაუთურებნოს მტერნი  
და განუბნიოს. იგინი. ჩენ ელოუცულობთ მათთვის.

პატრი. აგრე 8 წელია, რაც უკეთურთა ფრანგისტიელთა  
დაფლეს მიწაში ჯერი და სახარება ქრისტესი.

მეფე. წყეულიმც არის მათი სახელი, ღმერთო და მაცხო-  
ვარო ჩემო, შენ აპატივე შეილს ჩემსა დავითს დანაშაული მი-  
სი. ნუ ჰკითხავ მას, შენ მოაქციო კეშმარიტსა გზაწედა და და-  
ამკვიდრე შენს სიუერულზედ. ამინ. ამინ, რა იქნება მეფე  
არა მორწმუნე ქრისტესი, მოძულე მღვთისა დედისა, წმიდათა  
და წამებულთა. ვაი შენს მეფესა გიორგისა, გამოიყვანე ცოდ-

უიდან, ამცენ, შენ უფრო დაგიჯერებს, პატრი, შეაყვარე ქრის-  
ტე შეილსა ჩემსა, გამოიყენე ცოდვიდან, თორემ ვერ იმეჯებს.  
დაკარგავს ტახტასა და სამეფოს ლეთის მშობლის წილხდომილსა.

კვალათ, ანუ შემდეგაც მეფე გიორგი აედრებს პატრ  
ნიკოლას, ეხევნება, რომ ამან გავლენა იქონის დავითხედ.  
ამ გვარათ, XVIII საუკუნის შემოს, ქართველთ შორის, ხში-  
რად იკოდნენ საუბარი საფრანგეთის ორეოლიუციის შესახებ;  
რესპუბლიკური მართვა გამგობის და იცნობდენ კოლოერ,  
მწერლობასაც.

მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკის  
წინაშე.

ისტორიულის ცნობებით ვიცით, რომ 1781 წ. მეფე ერეკ-  
ლემ ეკროპაში, ისევ რომის იმპერატორთან, ერთი პატრი გა-  
გზავნა, თან წერილი გატანა და იმპერატორს დახმარებას სთხო-  
ვდა. ამავე პატრს წერილები გატანა ვენეციის მთავრობის წი-  
ნაშე და ამასთანავე პირადი თხოვნაც.

საუბედუროთ, მეფეს თხოვნა ვერ აღსრულდა, მგზავრო-  
ბის დროს, პატრს შევის ზღვით მოუხდა სიარული, შევის ზღ-  
ვის ლელვის მეოხებით პატრი ზღვაში დაიხრიო და მთლად მი-  
სი ისტორიული ცნობები, მეფის თხოვნა და ბეჭრიც სხვა რა  
მასალა ზღვაშ დაინთქა. პატრის დალუპვების ამბავი მეფეს დრო-  
ით მოხსენდა, დიდად ეწყინა საქმის ასე უძედურიდ აღსრულე-  
ბა, მაგრამ რალას უშეველიდა, მიწერ-მოწერა და თხოვნა შემ-  
დეგ ისევ განაახლეს.

მეფის თხოვნით, 1782 წ. მეორედ გაგზავნილ იქმნა პატრ  
რი მაგრო ვენეციის მთავრობის, ანუ სენატის წინაშე. სადაც  
იმ დროს ხშირად იყრიბებოდნენ იქაუჩნი, დიდებულნი და სა-  
ხელმწიფოს წარჩინებულნი. ჩექნ აქამდი. მხოლოდ ის ვიცი-  
ლით, რომ 1782 წ. მეფის პრინცებით ეკროპაშ გაგზავნილ იქ-

შნა პატრი მაერთ, მაგრიმ ისეი არ ეიცოდით, თუ იგი რად წა-  
ვიდა იქ, რა წერილები და პირადი თხოვნა წაიღო, ქართველი-  
თაგან რა ჰქონდა დავალებული ენეციის განათლებულთა და  
წარჩინებულთა წინაშ საშუამდგომლოდ. დღეს ჩვენ შემთხვე-  
ვით გავიცანით მეფის ერეკლეს ორი წერილი, რაც ცხადად  
ააშკარებს ამ გარემოების პირობებს და პატრი მაერთს ეკროპა-  
ში განსცლის მიზეზს. ამიტომ აქ მცირედ პატრი მაერთს შესა-  
ხებაც უიტუვით რასმე.

პატრი მაერთ ყოფილა ტოშით უცხო, მაგრამ საქართვე-  
ლოში დიდხანს უცხოერია, ქართული ენა კარგათ სცოდნია,  
მასთანეთ მწიგნობრობაც. დიდი გულშემატყიფარი ყოფილა  
ქართველთ და თითქმის მტკუცე ბურჯი სოლომონ მსაჯულის,  
პატრის ნიკოლასი და ქართველთა სხვა წარჩინებულთა კაცთა,  
რომელთაც ქართველთა მომავალის ცხო-ერების დიდი შეგნება  
ჰქონდათ და თითქმის ნათლად მხედველნიც იყვნენ მყობადისა.  
შეფე ერეკლეს კარგად სცოდნია. პატრის ასეთი ღირსება და  
ამიტომაც გაუგზავნია იგი ეკროპაში.

რამდენად ყოფილა პატრიულებული პატრი და მეფის წინა-  
შე დამსახურებული, ეს სჩანს თვით აქ დაბეჭდილის წერილიდ-  
განაც, სადაც მეფე პატრის მაერთს ანდობს და ნებას. აძლევს,  
რომ მან ილაპარაკოს იქ ქართველ მეფის სამავიეროდ სადაც-  
კი საჭიროთ დაინახავს, ითხოვოს ის, რასაც სასაჩერებლოდ მი-  
იჩნევს. სამწუხაროდ, ჩვენ ამ პატრის ცხოვრების შესახებ ბევ-  
რი არა ეიცით რა, ნამეტნავად ეკროპაში წასცლის შემდეგ,  
ცმობები ისეა დაჩრდილული, რომ თვით ისიც კი არ ეიცით,  
თუ ეს მაღალის გონების მოძლეარი როდის მობრუნდა საქარ-  
თველოში და ან რა. პასუხი მოუტანა შეფეს არა მდონია, რომ  
ამ პატრი მაერთს მოგზაურობის შესახებ და 1781 წ. შავ ზღვა-  
ში დაღუპულის პატრის ცხოვრების მდ დროის „Mision“-ში  
ჩამდ ცნობები არ იყოს დაბეჭდილი. იმდია, რომ დრო და  
შეერთებული შრომა ბევრს რასმეს აღმოაჩენს.

ენეციაში (იტალია) არის მთავრობის ერთი ძელი არხი-

ფი, რომლის ოთხებისა და დარბაზების რიცხვი ოთხასზე შეტა  
იქმნება. ამ უდიდესს შენობას სახელათ ეწოდება „archivio  
di stato“. დარბაზთა შორის არას ერთი დიდი სახელდობრ,  
დაპლომატიური დარბაზი, ანუ დარბაზი მარგარიტა, ეხლანდე-  
ლის დედოფლის სახელობაზედ. ამ დარბაზში, სხვათა შორის-  
გამოუერილია რამდენიმე წერილი და ცნობა მეფე ერეკლეს შე-  
სახებ, წერილები ზოგი ქართულად არის ნაწერი, ზოგი თარიუ-  
ლად, იტალიურად პატრის მაეროხაგან ნათარგმნი, აი წერილე-  
ბი, რომლებიც გაღმოწერილია სიტყვა სიტყვით ქართველის კა-  
თოლიკის მხითარისტის დიონისე კალატოზიანისაგან, ვისაც ჩეენ  
წრფელი მაღლობა უნდა ვუძლენათ, რომ მათ შორის უაღრე-  
სად განცხოველდეს საქართველოს ერისა და წარსულის ცხოვ-  
რების ცნობათა პატივის ცემა. ამის იმედი მით უფრო გვავქს,  
რომ ეს მხითარისტი შთამომავლობით ქართველია და ქართულ-  
წერილების კითხაც იცის. აი ესეც წერილები:

„განათლებულთა მაგათ დიდთა ვენეციის ქალაქსა შორის-  
შემძლებელთა შეკრებულთა.

„მრავლის ეამიდგან დაგეჭირდა რათამცა ეეროპის თეით-  
შპურობელთა, ყოვლად მაღალთა კეისართა და ყოვლად მოწ-  
ყალეთა დიდებულთ ხელმწიფეთა და მეფეთა, და უგანათლებუ-  
ლესთა მაღალთა შეკრებულებათ ვაწყინოთ თავი და დამკირ-  
ნეცა ჩეენი მოვახსენოთ და რათამცა ჰუნ წყალობა, მაგრამ აქა-  
მეომდე მძლავრთა მტერთაგან ისმაირელთა, და სხვათაცა წი-  
ნააღმდეგომთაგან ვერ მიეიღეთ ეამი.

„და არა დროსა შინა ვეწიენით მოწყალებათა ღეთისათა-  
და შიეიღეთ ესდენი ბელნიერებ, და აწ დროსა ამასა გაწყინეთ-  
და განათლებული გონება თქვენი წუ უმე. შევწუხეთ და ვით-  
ხოვ თქვენის განათლებულებისაგან, რათა ახლა ღეთისა წყალო-  
ბით აღიძრათ და რომელიც ამ პატრის მაეროხაგან დაბა-  
რებული აქვთდეს წერილით თუ ზეპირათ უნაკლულოთ ჩეენად  
მოიხსენიოთ და რა გვარათაც ჩეენის სათხოვრის აღსრულება-  
მოვახსენოთ, ის აღვისრულოთ.

„ჩეენ თქვენს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამ-  
სახური არა მიგეიძლების რა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერ-  
თა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და იყასეთ, ლეთისა თხოვილი  
ჩეენი აღგეისრულოდ და ესდენ უმრაველესთა „შეწუხებულთა  
ქრისტიანეთა გული თქვენთვის მოივევით, განათლებულებისა  
მრავალნი თქვენიცა საქმენი წარგიმართოსთ ლმერთმან ყოვე-  
ლისაშინა.

„რადგანაც აზის ერთ კერძოდამ ეკროპაში ესახეთ შეწევ-  
ნად, თქვენცა რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩეენ და ჩეენს ერ-  
ზე თქვენიცა საკადრისი გვევონია, რომ ჩეენი თქვენთან მოხსე-  
ნებული თხოვილი აღგეისრულოთ. ვეკრძალეთ თქვენს განათ-  
ლებულებას ამჟენს თავის წყენასა, ვითხოვ, რომ ეს მოხსენე-  
ბა თქვენს განათლებულს გონებას არ შესწყინდეს.

განათლებულებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ-  
ახეთისა და სხვათა.

მრმედ მ.

დაიწერა ქალაქ ტფილის,  
ოქტომბრის 18 დღესა 1782 წ.“

ამ წერილში გამოთქმული თხოვნა შემდეგს, მეორე წე-  
რილში კარგად არის გამორკვეული. ამ წერილიდგან ბევრი რამ-  
ლის შესანიშნავი ცნობა გამოირკვევა ჩეენის წარსულათ დრო-  
თა ქართველთა ცხოვრების შესახებ. აი ეს მეორე წერილიც:

„მათ განათლებულთ დიდია ვენეციის შეკრებულთა“.

„ქ: თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდათ ემორცხობთ და  
ვეკრძალეთ, მაგრამ რომელიც ჩეენის ქვეყნის მწუხარება და  
შეკირვება სხვას არზით მოგეიხსენებია, ის მაკადნიერებს. ჩეე-  
ნის სათხოერის აზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯა-  
ვაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩეენ ვიშოვოთ და იმ ჯამაგი-  
ხით ის ჯარი გაფაწყოთ ეკროპის რიგზე, რა რომ მცერი ამ:  
ჯარის რიგს საბოლოოდ რომ სცნავს ერას დროს ჩეენს მცერ-  
ის ველარ გაბედავს.

მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა  
მრმედ მ.

ოქტომბრის 18, წელსა 1782<sup>წ.</sup>.

წერილების დაწერის რიცხვიდან სჩანს რომ ორივ ეს წერილი ერთ დღეს დაუწერიათ, თეთი წერილების მეორე გვერდზე მიწერილია იტალიურს ენაზე თარგმანიცა. რომელიც კენებიაში გადაუთარებით სხვა პატჩებს მთავრობის თხოვნით ჩერენ კიცით, რომ ეკენეციაში, მეფე ერეკლეს გარდა, სხვა მეტ ფეხშაც ჰქონიათ ხოლმე მიწერ-მოწერა.

აქ ხეყურადღებო ერთი ის არის, რომ 1782 წ. მეფე ერეკლე, რუსეთის იმპერატორიცა ეკატერინა მეორეს ხელ-შეკუბობა ტრაქტატი და რუსეთის მფარეველობის ქვემ შევიდა, ამიტომაც ამ დროდამ მეფე ერეკლეს ნება აღარ ჭერდა, რომ რუსეთის იმპერატორის ნება დაურთველათ ეროვნის ან აზიის რომელიმე სახელმწიფოსთან ლაპარაკი დაეტყო. მიუხედავთ ამის მეუე ერეკლე სწორეთ იმ დროს, როცა იგი რუსეთის მფარეველების ქვემ მევიდა, მაშინ მან ეკროპის ხა-ტელმწიფოებსაც მიმართა დაეთლებით.

ზემოთ დაგვაეციშვდა შემდეგ პირთა მოხსენება, რომელნიც აგრეთვე იყენებ რესპუბლიკანელები, ამათ აქ მოვიხსენებთ:

ჭაბუა ორბელიანი კაცი მწიგნონბარი და ცნობილი.

იანე რაზბელიანი, კაცი ფილოსოფი თავის დროის კვა-ლიათ.

დუცალ ბარათაშვილი, კაცი ცნობილი და ხელოვანი.

გიორგი მაყაშვილი, ცნობილი პირი და ნათესავი მეფისა. ალექსანდრე მაყაშვილი კაცი მწიგნობარი და კარგათ ცნო-ბილი.

### ქართველთ ძველი როსტუბლიკანელები

შეიძლება, ეს ამბავი ბევრმა არც კი დაიჯეროს. ამის მაგალითები ქართველთ კოსმოპოლიტებში ერთობ ხშირია და უხერო, ამიტომ აქ ჩერენი ამბის აღწერას ცოტა შორიდან დაეიწყებთ, რომ ეკეი არეის ჰქონდეს.

ქართველსაო ძველათ, ანუ ბიზანტიურებითა დროს, მათ

შფართველობის ქვეშ იყო, ბიჭანტიის დაცუმის შემდგა, ხან სპარსთა გავლენის ქვეშ იყო, ხან ოსმალეთისა, მიტოზაც ქართმელთ მეფები იწოდებოდნენ, ვალი გურჯისანი. ანუ ქართულათ გამგე-მეფე საქართველოსი.

მეფე ერეკლებ ეს არ ინდომა, ოსმალ სპარსეთთან მოსპოტა კავშირი და 1782 წ. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა შეორის მფარველობას შეეკელლა. ამისათვის დაწერილ იქმნეა ტრაქტატი.

ამ ტრაქტატის პირობით საქართველოს სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო. 1782 წ. რუსეთის იმპერიას საქართველოც უნდა დაეცვა.

საქართველოს სამეფო ამ სახით დაშობა საყოველთაოდ და რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს სამეფო არ მოისპობა, არამედ დაცული იქნება იკი ყოველთვის უკნებლათ.

რუსეთის მთავრობამ საქართველოში უნდა შამოიყვანოს 6000 ჯარისკაცი და ამათ უნდა დაეცვა საქართველო. ეს ჯარი აქ უნდა დარჩენალიყო იმ დრომდე, ვიღრე ქართველთა სამეფოც მოაგვარებდა და თავის საკუთარ ჯარს დაიწესებდა.

თბილისში დაარსდა ახალი ზარაფხანა სადაც სკრიფტენ რეზინს, ვერცხლის და სპილენძის ფულს. ფულს ერთ მხარეს ქართული წარწერა ჰქონდა და მეორე მხარეს რუსული. დაარსდა სამხედრო სკოლების გაფართოვება, თოფხანა და დაუწყეს ქართველთაგან საყოველთაო ჯარს მოკრება. ახეთი ჯარის მოკრება 1770 წ. იქმნა შემოღებული ლევან ერეკლეს ძე ბატონიშვილისაგან.

1798 წ. როცა მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მის მაგიდრ ქართლ-კახეთის მეფეთ ტახტზედ, რუსეთის იმპერატრის თანხმობით გიორგი მეფე აეიდა.

გიორგი მეფე უძლური მეფე იყო, ამას მეფობა და გამგეობა ძლიერ უძღველებოდა. ამიტომ მან განიდანართა თავის მეფო რუსეთის იმპერიისთან დაკავშირდა. დათ აქეზებდა გარსევან ჭავჭავაძე და ზოგი უმეტესათ კი გიორგი მეფე რუსეთს

ტომ რომ გიორგი მეფის სიკედილის შემდეგ საშეფო ტახტი  
უნდა მიყღო იულონ ბატონის შეილს, გიორგის ძმას და არა  
გიორგის შეილს, დავითს, რომელიც რუსეთში იყო გაშტრდილი  
და რუსეთის გენერალ ლეიტენატი გახლდათ.

ეს გაჩემოვება დაეითმაც იცოდა რადგანაც აიმს ანდერძის,  
წერილი მეფე ერეკლესავან იყო დატრებული; ამ წერილზე გი-  
ორგი მეფესაც ეწერა ხელი, რაც გიორგი მეფეს დიდათ ამრა-  
ზებდა და სძულდა თავის მამის ასეთი ანდერძის დატოვება.

ამიტომ ქართველებში, გიორგი მეფეს საქართველოს ვაჭ-  
ხიდავათ სახეენ, ეს არ არის მართალი. ამაში გიორგი არ არის  
დამნაშავე, არამედ გარსევან ჭავჭავადე და ამის აშხანაცები. ამ  
ამბავს ჩენ შემდეგ დავასაბუთებთ.

საქართველოს დაღუპვა და გაყიდვა მოხდა გარსევან ჭავ-  
ჭავაძის მოხერხებით, თვით ამ პირმა აღიარა თავის პირით, სი-  
კედილის დროს, გიორგი მეფის შეილები და შეილის შეილე-  
ბი დაიბარა თვისთან და ბოლიში მოიხდა ასე:

მე გილალატე თქეენა, მე გაყიდვ საქართველო და ამი-  
ტომ ვითხოვ მოტევებასა. ეს ბოლიში ნამდეილად შემოწმებუ-  
ლია ანდრინდელი პროფესორის დაეით ჩუბინაშეილის ბიძი-  
ხავან, რომელიც იმ დროს იქ ყოფილია, და გარს. ჭავჭავაძის  
სიტყვები თავის ყურით გაუკვინია. გარსევანის საქციილს „კალ-  
მასობაც“ ასაბუთებს:

საქართველოს გაყიდვა აი როგორ მოხდა რუსეთის სახე-  
ლმწიურ პირთავან და ნამეტურ ქართველ ელჩებისა და რუსის  
გენერალ ლაზარევისავან.

გიორგი მეფის სიკედილის შემდეგ ქართველ-კახეთის ტახტ-  
ზედ უნდა ასულიყო გიორგის უფროსი შეილი დაეითი. ეკლე-  
გე მოხდებოდა, მინამ გენერალ ლაზარევის რჩევით საქართვე-  
ლოს აღილები რუსეთის გუბერნიებად იქნა გამოცხადებული  
და მით საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამით  
დარღვეულ იქნა 1782 წ. ცრაქტატი.

ვიღო საქართველოში რუსის მთავრობის ძალა დამყარ-  
ებოდა, საქართველოში, ზოგი ქართველი ფხიჩლათ იქცეოდა.

და ჩუსის მთაერობისაგან დაუკონებლივ ითხოდენ 1782 წლ. ტრაქტის შესრულებას, საქართველოს მეფობის არ მოსპობას და დაეითის, ანუ იულონის გამეფებას.

ამისთვის მთელმა ქართლის ერმა მიმართა ალექსანდრე იმ-პერატრის და ხთხოვა მეფე ერეკლეს ანდერძით კვალით საქართველოს მეფობის არ მოსპობა და დაეითის ან იულონის გამეფება, ასეთისაც დავადას ით მიმართა სოლომონ იმერთა მეფები ამ დროს, როცა პავლე იმპერატორის შემდეგ, ალექსანდრე იმპერატორი გამეფდა, ყოველივე ასეთი მიმართებანი ალექსანდრე იმპერატორის წინაშე უმნიშვნელით ჩემოდა, ეინაიდგან გარსევან პავლე კავკასიისაგან საქართველოს გასყიდვით იყო შესრულებულია; ამ დროს თბილისში გაჩნდა ქართველთა სხვა და სხვა პარტიაბი. აქ იყო დაეით ბატონის შეილის პარტია, იულონ ბატონ-შეილის, სოლომონ ლეონიძის, ბოლოს ს. ლეონიძის პარტიის სხვებიც შეუერთდნელ, იყო კიდევ დარეჯან დედოფლის პარტია და ასევე კიდევ სხვების.

კუელა ამ პარტიების მიზანი იყო ჩუსეთის წინაშე შეკალინება და მთ 1782 წ. ტრაქტატის პირობის დაცვა, საქართველოს მეფობის არ მოშლა, ტახტზედ დაეითის, ან იულონის დამტკიცება. გიორგი მეფის სიკედილის მესამე დღეს თბილისში მოხდა ქართველთ კრება, ამ კრებაზედ ზოგი დაეითის გამეფებას ითხოვდა, როგორც გიორგის მემკეიდრის და ზოგი კი მეფე ერეკლეს ანდერძის არ მოშლას და იულონის გამეფებას მოითხოვდა. ამ პარტიების ბრძოლა დიდად განცხოველდა, მალე მოხდა მეორე კრებაც. ამ კრებას დაესწრო ფრანგის პატრი ნიკოლა. ამან მოახსენა კრებას შემდევი სრტყევა ჩემევით;

„ბატონებო, გონიერას მოდით, შეიტყეთ ეითარება სამეტო-სი, შფოთმა და განხეთქილებამ გაიდგა ფეხეი. აქ მეფობა თით-ქოს აღარავის უნდა, კუელა ეჭვის თვალით უმზერს და ამბობს, რომ მეფე გიორგის დავალებით, რუსი აღარავის გაამეფებენთ. საქართველო ჩუსეთს დაუკავშირება. ასე ლაპარაქობენ თვით ტახტის მემკეიდრენიც.“

გურწყებოდათ ბატონებო, რომ მემკეიდრეებმა დაანგბონ

ტახტს თავი, აიღონ ტაწილისაგან ხელი. ჩეენ გამოუჩენთ მეფეს, ბატონებო, ფრიანცუქინი თქვენზედ ძლიერინი არიან, ჰკუიანნი, ნასწავლნი და ყოვლითვე სრული, მაგრამ ხშირად მდგრე არა ჰყავთ, უმცირდ განადგენ, რესპუბლიკით. ჰყავით თქვენც ასე, ჰქმენით რესპუბლიკა და ეგენი წავიდნენ იქთ, სართაც სურთ”.

პატრის აზრი ბევრს მოწონა და ეს ცნება განაბნიეს ხა- ქართველოში და მოითხოვდნენ, რომ რაკი საქმე ასე თავდება, ამიტომ ჩეენ მეფობი აღარ გვინდა, პატრის ნათქვამის თანახმად ჩეენ რესპუბლიკას დაუწესებთ და უმცირდ განვაჭრთ ქვეყნის სუბჟექტსო.

ამ აზრებმა გაიტაცა ს. ლეონიძე, დ. ბარათაშვილი. გ. მა- კაშველი, ქ. ორბეგლიანი, ს. ბეგთამცევისშვილი, როგ. ორბე- ლიანი და ბევრიც სხვანი. ამ დროს საქმე დრად მწვავდებოდა, რუსი ძლიერდებოდენ და საქართველოს საქმეც იშლებოდა, ამ დროს დაიოთ ბატონისშვილთან მიერდა მრის პელო ნათესავი გ. ბარათაშვილი და უწყა დაურთ ბატონისშვილს შემდეგი:

ბატონის შერლო, მეფობას წუჰკარგავ, დროით გამცირდით თქვენ რუსებს ნუ უცდით, უგძანეთ რომ აქვდან რუსის გენე- ტელი ლაზარევი თვეს ჯარით უკან დაძრუნდენ, რო ამას არ იქმს იპირ, მაშინ ჩეენ ეცირთ საქმე და ძალათ გავიძევებთ. დროით გამცირდით თორებ დაკარგდეთ მეფობას.

დაიოთი ვერ ჰქედავდა გამცირდას და ალექსანდრე იმპერა- ტორისაგან დამტკიცებას. ელოდა. ეს დაყოვნება კი ქართვე- ლებს დროათ ადამ დებდა, ნამცემული ლორმონ ლეიინძეს, და- სახელებულ ქართველი შორის გამოჩენენ ცხარცდ მსურვე- ლები რესპუბლიკანური წესის და ამისთვის მოლაპარაკენც.

ამ კრებაზედ საუბარმან გიასხებ ეგა იოანე სარდალი, ჯვრათ ორბეგლიანი, ეს მცირდა ბატონიშვილ დაეითოთან და მოისენა შემდეგი: „ბატონიშვილო და ბრძან! ნუ ჰკარგავთ მეფობასა, მიბმანდოთ და გამოუცხადებთ რუსისა იქა ჯარსა წარცევეს რუ- სეთად და თუ არა იქმს რუსის ლენერთალი, ადვილია მისი იქვ- დან განდევნა. დაუცირდ მეფობა და განვამტკიცოდ მეფობით სახელი ჩეენი, როგორც გვიმცენია, ისე იმეციოთ.

ამ დროს მოხდა ქართველ რესპუბლიკანელთა კრება, ამათ  
გადასწუყიტეს მეფობის მოშლა, აღარც დაეითის გამეფება, არც  
იულონის, არც რუსეთის მთავრობის ცნობის, არამედ რესპუბ-  
ლიკის დამყარების. ამ ნატერის ცნობები თურმე დაეით ბატო-  
ნიშვილმა შერტყო. მეტე დაეით ბატონიშვილმა მოელს საქარ-  
თველოს თავად-ანნაურობას ასეთი სიტყვით მიმართა რა ბ-  
ლიკური მართება-გამგეობის დარჩესების შესახებ.

„ბატონნო საქართველოს თავადი და აზნაურინი თქვე-  
ნი მუჯადობა გვებოძა და მართებული ეს იყო, რადგან მეფე  
გიორგი მიიცავალა, აյ შემოყრილიყავით და გეტირნათ. წაგეხუ-  
რათ და მერე დიდი დიდათ შეყრილიყავით და მცირელნი მკი-  
რეთა და ხაზოვალო ქვეყნის კეთილ მდგომარეობა გამოგდერ-  
ათ, ამ ემათ ზოგიერთნი სხვანი და როსტომ ბეგთაბეგის შეი-  
ლი, ელიზბარ თუმინისშეიღლის და ლუკალ ბარათა შეილს შეგი-  
როთად და რესტუბლიკის თავად გაგიკეთებიათ. „აბა სად მივ-  
დევთ, ეს თქვენის კეთილ შობრლებისათვის დიდათ უგია და  
სათავრლო“, ასე მოწმობს ამას პ. იოსელიანი „მეფე გორგის  
ცხოვრება“-ში.

დაეთ ბატონიშვილი რესპუბლიკური წესების დარჩების  
განხრას. დადათ დააფიქსია, ეს ამბავი იმან რუსის გენერალს და  
მინასერს კოველენსების გააგებინა, ამათ თოშები მიიღეს და ყვე-  
ლა რესპუბლიკანელები დააჭირნენს. დაპატირების დროს, ბედ-  
შე დაეთ ბატონიშვილმა ქართველების და ნამეტურ რესპუბ-  
ლიკანელს კიდევ მიმძრთა ასე:

„თუმცა ჩენ, ქართველთ, მცირე გვყოლია, მაგრამ ხან  
ბიზანტიის მფარეველობის ქვეშ ვყოფილებით, ხან სპარსეთის  
და ხან ოსმალეთის. ბოლოს მცირე ერეკლემ საქართველო რუ-  
სეთის მფარეველობის ქვეშ მიხტა, ამიტომ მოცემდეთ, ნუ ან-  
ქარებულ ხართ, მე 1782 წ. ცრაჭულის ძალით ბალე დამამტ-  
კიცებენ მცირეთ და მის შემდეგ მცე გამეფები და ძალაც მცქ-  
ნება, რუსეთის ნებადაურთვედ ჩემი გამეფება არ შეიძლება, ჩე-  
ნი პირობა ასეთია, ანუ შეერთების ცრაჭული“.

1801 წ. ბოლომდე უკულა რესპუბლიკანელები დაამატომა ასეს, დაეითო დამშეიღდა. ხოლო ლოდინით კი ვერას მო-  
გენტისა და ბოლოს რახტიც დაკარგა 1782 წ. ტრაქტატის  
შუბლებიც გაუქმდებულ იქმნა, და მის მეოხებით საქართვე-  
ლოს სამეფოც რუსთის იმპერიას დაუკავშირდა უსამართ-  
ლოდ. ასე უმწეოდ და შეუძნეველად გათავდა რესპუბლიკა-  
ნელ ქართველთა შრომა და ცდა საქართველოში. ამის მიზე-  
ზები პირდაპირ დაეით ბატონიშვილს ედება. სხვა არაეს და  
ხუსის მთავრობის ახლოს ძალას.

პატრი მაეროს და მეფე ერეკლეს მიწერა-გონიერის შესა-  
ხებ, პატრი მიხ. თამრაშვილი შემდეგს ცნობებს იძლევა, რაც  
სიციონ-სიციონი მოგვყავს აქ:

ეს პატრი მაერო ტფილისიდან წასულა ამავე წლის 16  
ნოემბერს. ერეკლეს მისთვის პასპორტი 28 ოქტომბერს მოუ-  
კია, ეს პასპორტი დაწერილი ყოფილა ქართულად, თათრულათ  
და ლათინურად. სამწუხაროდ, ተოგორც წინეთ გაგზიენილი  
პატრი დომინიკე, ისე ეს პატრი მაეროც გარდაცელილი გზაში  
მისის თვეს, პოლონეთის ქალაქს ბერდიკოვიაში (Berdiczo-  
via). ამ ქალაქიდან ორ პოლონელ კაპუცინს წაუღიათ უკელა  
მისი ქალალდები ვენას პაპის ნუნკიოსთან და უთქვამთ მისთვის,  
რომ მიცვალებულ პატრი მაეროს საქართველოს შეფისაგან  
ბეგრი რამ ჰქონია პირად დაბარებულიო. ეს ნუნკიო 19 იან-  
ვარს 1783 წ. რომში უგზავნის წერილს, რომელიც ქარდინა-  
ლის შესახები ყოფილა და რომელიც მოვიყენეთ ზემოთ; ხო-  
ლო დანარჩენი წერილები მარტო ქართულად ყოფილა. უკე-  
ლა გადაუკია ვენის მთავრობისათვეს. მაგრამ იქ ქართული  
არაეს სცოდნია და ამრტომ ვერ უთარებენიათ წერილები. შემ-  
დგომ აღარათერი სჩანს, თუ რა უკვეს წერილები და რა შე-  
დეგი მოჰყეა მათ.

ეს ამბავი ცხადია, ძრიელ საწყენად დაურჩა მეფე ერეკ-  
ლეს, მეტადრე იმსგამო, რომ პატრი მაეროს გამგზავრებას  
უფრო სჩარობდა ერცულე და დადის აღსწრავებით მოელოდა

ჩაიმე შემწეობას ეეროპიდგან ოსმალეთის წინაღმდევ“.

„უფროსმა პატრიმა მანქ კი მისწერა რომს, თუ ერეკლე მეფის წერილებმა შანდ მოაღწია, სათანადო განკარგულება მოახდინეთო. ამისთანავე 19 ნოემბერს 1783 წ. რომში აუწყებს ტუილისის ამბავს“.

ბევრნი შეიძლებ ამის წინაღმდევი გახდნენ, სთქვან, რომ ქართველებისაგან რესპუბლიკის ცოდნა ტყუილია. აქ ტყუილი არასუერია, ამის სიმართლეს ია რა ამოწმებს კიდევ:

პაელე იმპერატორის სიკედილის შემდევ 1800 წ. გამეფდა ას მისი ალექსანდრე პირველი, ამ იმპერატორშა დაძრდეთ იმ ტრაქტატის პირობის მუხლები, რაც მეფე ერეკლე და ეკატერინა იმპერატორიცამ შეკრეს 1783 წ. ამის დარღვევით, ალექსანდრე პირველმა საქართველო რუსეთის იმპერიასთან შეერთებულათ გამოცხადა..

საქართველოს სამეფოს მოსპობა ბევრს ეწყინათ, ამიტომ ქართლისა და კახეთის თავადები შეიკრიბნენ ერთათ, ალექსანდრე იმპერატორთან გასაგზავნათ საერთო მილოცვა დაწერეს და თან დაავალეს თვისი თხოვნა და საქართველოს მეფობის არ მოსპობა, არამდ მფარველობით დაცვა, ერთ წერილში მოყვანილია შემდევი სტრიქონებიც:

„მოწყალეო ხელმწიფევ! (ალექსანდრე I) როდესაც ერთგულებისა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისა დაგვავიცეს, მყის გამოკეიცხადეს მანიფესტი, რომ ვითომ ჩვენ მოვევხსენებიოს კარსა წინაშე დიდებულებისა თქვენისასა: მეფე აღარ გვინდა და უმეფოთ შემოსულვართ მფარველობისა ქვეშე.

„ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან“.

ასე უარს ჰყოფენ ქართველ რესპუბლიკანელები რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე წინაშე, რომ ჩვენი უმეფობა ფრანციულთ რესპუბლიკაობა იქნებოდა“.

მეფე ერეკლეს თანამედროვე პირია რუსეთის იმპერატორიცა ეკატერინა მეორე, ეს ქალი ტომით ნემენცი იყო, მასთან

ექროპის ერთა განათლების მცოდნეც, ეს იმპერატრიცა თავის  
წერიალებში, საფრანგეთის რესპუბლიკანურ სარეეოლიუციო  
სამხადის, დიდის ბოროტის თვალით უზრუნველის. რობერსპიერი,  
დანტუნი და მარიტი, მას სარდუშილი ყაჩალებათ მიაჩნია, რაზ-  
ბოინიებათ. ეს ქალი მთელს ექროპის ხელვიუვებს შესჩივის  
საფრანგეთის რევოლუციონერთა შარლატნობას და ავაზაკობს,  
იგი ყველას მოუწოდებს, რომ საფრანგეთის რევოლუციის საჭ-  
მებში ჩაეტანოთ და მათ ხემწიფეს დახვარება მიესცეთო, თო-  
რემ ბოლოს მათ რევოლუციის შარლატნებისაგან ჩვენც ცუდი  
დღე დაგვადგებთ.

მაღლობა ღმერთს, რომ მეფე ერეკეეს, თავის წერიალებ-  
ში ასეთი არაფერი აქვს, თორემ თქვენი მტერი, ამისთვის ბე-  
ვრი აკეკლებდენ. მეფე ერეკეეს ასეთი ზრდილობიანი წერი-  
ლის წერის კილო ჩვენ ერთობ დიდი საქმეთ მიგვაჩნია და  
შრომლაც იგი ღარსია ყუჩადღების მიუწოდის, რომ აზიელი  
კაცი ისეთის კეთილ შობილურას თვალით უყურებს საფრან-  
გეთის რევოლუციის სამხადისის დამწეულობრივ წადილს.



ზ. ჭიშინაძე

რეგულოს ქუჩა, სახლი 5 №-რი.

ფასი 15 კაპ.

იბეჭდება და გამოვა

ლურჯის სჯულის სწავლის შემოტანა ქართველები.